



ტარიელ ფუტკარაძე, მიხეილ ლაბაძე

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები გირესუნში (თურქეთი)

და მათი სამეტყველო კოდები¹

1. მუჰაჯირთა განსახლება.

ისტორიული წყაროების მიხედვით ძვ.წ. IV საუკუნიდან არსებული ქართველთა სახელმწიფო „ქართლი“ (//საქართველო) 1555 წლის ამასიის ზავით გავლენის სფეროებად გადაინაწილეს ოსმალეთმა და ირანმა. საქართველოს დანაწევრების შემდეგ ირანის გავლენის ველში დარჩენილ ნაწილში წარმოიქმნა ქართველთა ორი სამეფო: „ქართლი“ და „კახეთი“, რომლებსაც მართავდა ბაგრატიონთა დინასტია. ოსმალეთის გავლენის ველში დარჩენილი საქართველოს სამხრეთი ნაწილი - **ისტორიული მესხეთი** (სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი, ტაო, შავშეთი, ჭანეთი, ლივანა და აჭარა მაჭახელითურთ) **ოსმალეთმა მალევე მიიერთა**. დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში კი, ასევე ბაგრატიონთა დინასტიის ხელისუფლებით, წარმოიქმნა **ქართველთა მესამე სამეფო: „იმერეთი“**, სადაც პირველ ხანებში შედიოდა ოდიშის, აფხაზეთის სვანეთისა და გურიის სამთავროებიც.

ირან-ოსმალეთისაგან შევიწროებულმა ქართულმა სამეფოებმა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ცენტრალურ კავკასიაში შემოსვლის უფლება მისცეს ერთმორწუნე რუსეთის იმპერიას, მაგრამ რუსეთს თავისი ინტერესები ჰქონდა: **რუსეთის იმპერიამ ინტენსიურად დაიწყო კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის შევიწროებაც და ქართული სამეფო-სამთავროების განადგურებაც**.

ადგილობრივი ქართველების გამუსლიმანებით ოსმალეთის იმპერია შეეცადა, შეენარჩუნებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია, მაგრამ 1877-1878 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ ოსმალეთი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამხრეთ

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (Shota Rustaveli National Science Foundation – SRNSFG) დაფინანსებით; საგრანტო პროექტის შიფრი: FR-18-14869;



საქართველოს დიდი ნაწილიც. რუსეთის იმპერიას ხელს არ აძლევდა ქართველებით დასახლებული სასაზღვრო ზოლი, ამიტომ ხელი შეუწყო ქართველ მუსლიმანთა საქართველოდან აყრას და შუა ოსმალეთში გადასახლებას. 1878 წლის ბოლოს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო **საიდუმლო ხელშეკრულებაც**, რომლის თანახმადაც ოსმალეებს მკაცრად ეკრძალებოდათ რუსეთის მიერ დაკავებული ქართული მიწებიდან გადმოსული მუჰაჯირების დაბინავება გირესუნ-სივას-ადანას ხაზის აღმოსავლეთით (დაწვრილებით იხ.: ასანი, 2016:42-43). მუსლიმან ქართველთა ნაწილი ოსმალეთის ხელისუფლებამ დაასახლა ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის ილში.

2019 წლის ჩვენი ექსპედიციის მასალების მიხედვით, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ნაწილი კომპაქტურად სახლობს გირესუნის ილის გირესუნის ილჩეს სოფელ ამბარალანსა (Anbaralan) და ბულანჯაქის ილჩეს სოფლებში: კიშლა ქოი (Kışla köyü), თექმეზერი (Tekmezer), ქუჩუქდერე (Küçükdere), თეფეურანი (Tepeviran köyü), თეფე ქოი (Tepe köyü), ყადადიბი (Kayadibi), ენი ქოი (Yeni köyü), შემშეთინი (Şemşetin), ერეკლული (Eriklik), ქუშლუანი (Kuşluvan), ჰაჯი აეთიმი (Hacı Yetim köyü), დამუდერე (Damudere).² ეს სოფლები მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 20-30 კმ.-ის მოშორებით, მთებში. ზოგან, ქართველებთან ერთად სხვებიც (თურქები, გათურქებული ბერძნები და ა.შ.) ცხოვრობენ. მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები არიან ასევე ქალაქებშიც - გირესუნსა და ბულანჯაქში.

მუჰაჯირთა შთამომავლების გადმოცემით, დასახლებული სოფლების ერთ ნაწილში ცხოვრობდნენ ქრისტიანი ბერძნები, რომელიც 1922-1923 წლებში საბერძნეთში გადასახლდნენ. ლოგიკურია დავუშვათ, რომ ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლების მიზანი იყო მართლმადიდებელი ბერძნების ნაცვლად, ამ ტერიტორიაზე დამკვიდრებულიყვნენ სუნიტი მუსლიმანი მუჰაჯირები. მუჰაჯირთა შთამომავლები ჰყვებიან ასევე იმასაც, რომ მათი წინაპრები ოსმალეთში ფეხით გადმოსულან. რაკი სამშობლოსგან შორს წასვლაც არ სდომებიათ, თავდაპირველად, ტრაპიზონში

² ტოპონიმებს ქართულად ვწერთ ისე, როგორც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები წარმოთქვამენ. თურქული ვარიანტები კი წარმოდგენილია ოფიციალური დასახელებით.



მოუსურვებიათ დასახლება, თუმცა ზეღისუფლებას ამის ნება არ დაურთავს და შეიარაღებული ბადრავის თანხლებით, ყველანი გირესუნში გამოუგზავნია.

ჩვენთვის რთული იყო დაგვედგინა გირესუნელ მუჰაჯირ ქართველთა ამჟამინდელი რაოდენობა, რამდენადაც ოფიციალურად არ აღირიცხება თურქეთში მოქალაქეების ეთნიკური წარმომავლობა. ადგილობრივი მოსახლეობისგან მოპოვებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, გირესუნის ილში ცხოვრობს დაახლოებით 15 000 ეთნიკური ქართველი.

2. მუჰაჯირთა ენობრი-ეთნიკური თვითაღქმა და სამეტყველო კოდები.

ჩვენი მასალების მიხედვით, მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გირესუნში გამწესებულ ქართველ მუჰაჯირთა უმრავლესობა მდინარე აჭარისწყლის ხეობიდან³ - ზემო აჭარიდან⁴ - ამჟამინდელი ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან - იყო. დღეს მათი შთამომავლები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი - ამჟამინდელი ქედის მუნიციპალიტეტიდან წასულები - თავს თვლიან **აჭარლებად**, მეორენი კი - შუახევისა და ხულოს სოფლებიდან წამოსულები - **ზეგნელებად**. დიდი ალბათობით, ამგვარი დაყოფის საფუძველი ქედის **აჭარლების** დამოკიდებულებაა: დღესაც კი, ამჟამინდელ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქედელები შუახევისა და ხულოს მკვიდრთ **ზეგნის აჭარლებს** (= მთის აჭარლებს) **უწოდებენ**. როგორც ჩანს, 140-წლიანი იზოლაციის

³ მდინარის სახელი „აჭარის წყალი“ მომდინარეობს აჭარის ავტონომიის ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული სოფელი აჭარიდან, ამჟამინდელი დიდაჭარიდან - სადაც, ქართული და ბერძნული წყაროების მიხედვით, მოციქულთა ხანაში აიგო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ეკლესია.

⁴ აჭარა საქართველოს უძველესი კუთხეა. იქ მცხოვრები ქართული ლოკალური ჯგუფი - **აჭარლები** დიდად არ განსხვავდებიან საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრთაგან. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ აჭარლების მცირე ნაწილი, ოსმალური პერიოდიდან მოყოლებული, სუნიტი-მუსლიმანია. სამწუხაროდ, ევროპაში საქართველოს შესახებ არსებულ ობიექტური ინფორმაციას დღემდე ჭარბობს ყალბი წარმოდგენები, რაც მრავალი გაუგებრობის მიზეზი ხდება: მაგ., სახელწოდება „**Ajaria**“ მომდინარეობს თურქულ-ოსმალური ფორმიდან **Acarya (acaristan)**, რაც რუსულში შევიდა **Аджария** სახით და მერე აქედან, ევროპულ ენებშიც დამკვიდრდა. ჩვენი აზრით, რაკილა აჭარის მკვიდრნი - ძირძველი ქართველები - ამ კუთხის აღსანიშნავად ძველთაგანვე **აჭარა** ფორმას იყენებენ და ეს ფორმა ერთადერთია სამწიგნობრო ქართულ ენაშიც, უცხო ენებშიც ასევე უნდა დამკვიდრდეს მასთან ჟღერადობით უფრო ახლომდგომი ფორმა **Achara**. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ამჟამინდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თვითნებურად, ქართველი ერის ინტერესთა საწინააღმდეგოდ შექმნა საბჭოთა რუსეთმა XX საუკუნის 20-იან წლებში (ვრცლად იხ.: ფუტყარაძე, 2009; ფუტყარაძე, 2017; ფუტყარაძე, 2018) და მისი დღემდე არსებობა მხოლოდ ინერციით აიხსნება.



პირობებში ოსმალეთში მცხოვრებ მუჰაჯირებში მკვეთრად გაიმიჯნა მთის (შუახევისა და ხულოს) აჭარლებისა და შედარებით ბარის (ქედის) აჭარლების თვითაღქმა: თემონიმი⁵ „აჭარელი“ დარჩათ ქედელებს, გეორაფიული ზოლის აღმნიშვნელი სახელიდან მომდინარე წარმომადგენლობის სახელი - ზეგნელი კი - შუახევიდან და ხულოდან წამოსულთ.

„აჭარლების“ ყველაზე დიდი სოფლებია: ამბარალანი და დამუდერე, „ზეგნელებისა“ - ქუჩუქდერე და კიშლა ქმოფ. ენობრივი თვალსაზრისით, „აჭარლების“ ქართული მეტყველება ქედურ თქმას მიჰყვება, „ზეგნელებისა“- შუახევურსა და ხულოურს.

აჭარელი მუჰაჯირების ორივე ჯგუფის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი თავს თვლის ეთნიკურ „გურჯად“. მხოლოდ ახალი თაობის მცირე ნაწილი აღიქვამს თავს ეთნიკურ თურქად. უკლებლივ ყველა ჩვენი რესპოდენტი თავს თვლის თურქეთის რესპუბლიკის პატრიოტად, რადგანაც პატივს სცემს თავის სახელმწიფოებრივ მოქალაქეობას.

სამეტყველო კოდების ფლობისა და შერევის მიხედვით, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები სამ პირობით ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- 50 წელს გადაცილებული პირები: III თაობა - უფროსი თაობა.
- 25-დან 50 წლამდე პირები: II თაობა - შუა თაობა.
- 25 წლამდე პირები: I თაობა - უმცროსი თაობა.

ქართველ მუჰაჯირთა გირესუნელ შთამომავლებში მშობლიური ენა კარგადაა დაცული III თაობის ეთნიკურ ქართველებში. ექსპედიციის მონაწილეებთან საუბრისას უფროსი თაობის პირები სასაუბრო ენად ირჩევდნენ ქართულ ენას (აჭარულ დიალექტს). საშუალო განათლების მქონე ამ თაობის პირებმა იციან **თურქული ენაც**, მაგრამ მათი თურქული წარმოთქმა „ქართული აქცენტისაა“, თურქულად საუბრისას ხშირია ქართული სიტყვების გამოყენების შემთხვევები.

შუა (II) თაობის მუჰაჯირთა შთამომავლები თითქმის თანაბრად ფლობენ როგორც თურქულ სალიტერატურო ენას, ასევე, დედაენის - ქართული ენის - მშობლიურ აჭარულ დიალექტს. ექსპედიციის მონაწილეებთან საუბრისას, მეტწილ შემთხვევებში ისინი

⁵ თემონიმი - ეთნოსის სახელი; შდრ.: თემონიმი - ეთნოსის ნაწილის - თემის - სახელი.



იყენებენ ქართულ ენას (აჭარულ კილოს); თურქულად საუბრისას კი ნაკლებად იყენებენ ქართულ დიალექტურ სამეტყველო კოდს.

უმცროსი (I) თაობა, როგორც წესი, მხოლოდ თურქულად მეტყველებს. ამ თაობაში გაცილებით მაღალია თურქული ენის ფლობის დონე. ქართული ენა - ისტორიული დედაენა - უმცროსი თაობის დიდ ნაწილს ესმის, მაგრამ უჭირთ ქართულის გამოყენება ელემენტარული კომუნიკაციის დროსაც კი.

შეგვიძლია ვთქვა, რომ შუა თაობისათვის უფრო დამახასიათებელია ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა აღრევა (კოდ-სვიჩინგი): შედარებით უფროსებისათვის (35-50 წელი) - ქართულის დომინირებით, შედარებით უმცროსებისათვის (25-35) - თურქულის დომინირებით.

აღრეული წლებისაგან განსხვავებით, თურქულის არმცოდნე პირები ჩვენი ექსპედიის დროს აღარ შეგვხვდრიან; სამაგიეროდ, დღითიდღე იზრდება ქართულის არმცოდნეთა რაოდენობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი გარემოება:

საქართველოსთან საზღვრის გახსნამ (1988 წ.) და საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებამ, რასაც მოჰყვა ინტენსიური სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება, გირესუნელ ქართველთა შორის გაზარდა მშობლიური ენისადმი ინტერესი, თუმცა, ეს კიდევ ერთ დამატებით წინაპირობად იქცა, გირესუნის მხარეში საერთოდ გაქრეს ქართული ენის აჭარული დიალექტი, რამდენადაც, თუკი ვინმე ცდილობს დაეუფლოს ისტორიულ დედაენას, ეუფლება სალიტერატურო ქართულს და არა - მისი წინაპრების კუთხურ მეტყველებას - აჭარულ კილოს. მაგალითად, 2019 წლის ივლისში, ბულანჯაქის ილჩეს სოფ. **დამუდერეში** მუშაობის დროს, ადგილობრივმა მკვიდრმა, **მუსა თანმა** (ჰელიმოლლი-ბარამიძემ) დაგვისახელა რამდენიმე იქაური ახალგაზრდა, რომლებიც ქართულს მას შემდეგ დაეუფლნენ კარგად, რაც ბათუმში მისვლა-მოსვლა დაიწყეს. ამ ახალგაზრდების ქართული მეტყველება დიდად არ განსხვავდებოდა ექსპედიციის მონაწილეთა ქართულისაგან. ბოლო პერიოდში ქართული სალიტერატურო ენის სწავლის შემთხვევები



იშვიათი არაა, მაგრამ არც მასობრივი სახე აქვს; მთლიანობაში, გირესუნელ ქართველთა ახალი თაობები წინაპრების დედაენას (ქართული ენის მოცემულ დიალექტს) შეუქცევადად კარგავენ. გირესუნში მცხოვრებთა აჭარული დიალექტის გადარჩენას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა აღრევა; არაა გამორიცხული, რომ გირესუნელმა ქართველებმაც დაკარგონ ისტორიული დედაენა (შდრ., მაგ.: დაახლოებით 40-50 წლის წინ, დაიკარგა რიზეს ილში მცხოვრებ მაჰმადიან სომეხთა ანუ ჰემშინთა დედაენა, სომხურ-თურქულ სამეტყველო კოდთა აღრევის პროცესში თურქული ენის დომინანტობის გამო: ჰემშინთა მშობლიურ მეტყველებაში მხოლოდ ლექსიკადა დარჩა სომხური, ხოლო გრამატიკა უკვე მთლიანად თურქულია; დაწვრილებით იხ. სიმონიანი, 2007:353-356).

სამეტყველო კოდთა აღრევა (ინგლ. Code-Switching) სპონტანური, გაუაზრებელი პროცესია და გვხვდება ისეთ სოციუმში, რომელსაც სრული ორენოვნება (ბილინგვიზმი) ან დიგლოსია ახასიათებს, ანუ მისი წევრები თანაბრად ფლობენ A და B ენებს (ან დიალექტებს).

გამოიყოფა სამეტყველო კოდთა აღრევის ხუთი ძირითადი ქვეტიპი:

- 1) თეგ-სვიჩინგი (Tag-switching) - A ენის/დიალექტის ფრაზის თავში ან ბოლოში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის (ე.წ. “თეგის” - Tag) დართვა;
- 2) ინტრასენტენციალური (ფრაზის შიდა) გადართვა (Intra-sentential switching) - A ენის/დიალექტის ფრაზაში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის ჩასმა;
- 3) ექსტრასენტენციალური (ფრაზის გარე) გადართვა (Extra-sentential switching) - A ენის/დიალექტის ფრაზიდან B ენის/დიალექტის ფრაზაზე გადასვლა;
- 4) ფონემურ-მორფემული გადართვა (Intra-word switching) - A ენაში/დიალექტში B ენიდან/დიალექტიდან ფონემათა და მორფემათა სესხება; B ენაზე/დიალექტზე მეტყველებისას A ენისთვის/დიალექტისთვის უჩვეულო ფონემის ჩანაცვლება რომელიმე სხვა ფონემით.



5) კალკური გადართვა (Calque switching) - A ენაში/დიალექტში, B ენის/დიალექტის გავლენით, ლექსიკურ-გრამატიკული კალკების სპონტანურად წარმოქმნა.

მუჰაჯირი ქართველების გირესუნელ შთამომავალთა მეტყველებაში, ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების აღრევისას, დასტურდება ხუთივე ქვეტიპი, მაგალითად:

1) ქვეტიპი:

ბახტემ ქი, ისიც მუჰაჯირულა ლაკაბოფს (ამზ.-დამ.) „შევხედე, რომ ისიც მუჰაჯირივით ლაპარაკობს“ (ბახტემ ქი < თურქ. დიალ.: Baxtim, ki).

მე ჟილაპარიკეფ, შენ დიმიყურე, ძაჟრუმ! (ქუჩ.-კიშ.) „მე [რომ] ვილაპარაკებ, შენ მომისმინე, გენაცვალე!“ (ძაჟრუმ < თურქ. Yavrum)

2) ქვეტიპი:

კარმა'მ გიესხნა, ჰეფთენ თამამ ოლდუ, დეაწყო მისლა-მოსლა (ამზ.-დამ.) „[სარფის] კარი რომ გაიხსნა, ერთობ კარგი იქნა, დაიწყო მისვლა-მოსვლა“ (ჰეფთენ თამამ ოლდუ < თურქ. Hepten tamam oldu).

იმას დუმახა-ქი, ჟესიეთ ყაბულ ედაჯახსინ-დედი, უთხრა (ქუჩ.-კიშ.) „იმას დაუმახა და ანდერძი უნდა აასრულო, უთხრა“ (ჟესიეთ ყაბულ ედაჯახსინ-დედი < თურქ. დიალ.: Vesiyet qabul edäcäxsın, dedi).

3) ქვეტიპი:

მე ყამიონჯი ჟარ, ბირ არადა თრაბზონა გითთიმ (ამზ.-დამ.) „მე სატვირთო მანქანის მძღოლი ვარ [და] ერთხელაც ტრაპიზონში წავედი“ (ბირ არადა თრაბზონა გითთიმ < თურქ. Bir arada Trabzon'a gittim).

ჩჟენებური ხარ თუ, თურქა ნიდა ბილმიდორსუნ? (ქუჩ.-კიშ.) „ჩვენებური თუ ხარ, თურქული რად არ იცი?“ (თურქა ნიდა ბილმიდორსუნ? < თურქ. დიალ.: Türkçä niyâ bilmiyorsun?)

4) ქვეტიპი:

⁶ შემოკლება **ამზ.-დამ.** აღნიშნავს ამბარალანი-დამუდერეს მეტყველებას, **ქუჩ.-კიშ.** კი - ქუჩუქდერე-კიშლა ქმოს მეტყველებას.



გახედე ერთი, ზეგნელი მია, უინ არი? (ამბ.-დამ.) „გახედე, ერთი, ზეგნელია თუ ვინ არის?“ (მი < თურქ. mi).

შენ დიმიყურე, დატრუმ! (ქუჩ.-კიშ.) „შენ მომისმინე, გენაცვალე!“ (დატრუმ < თურქ.: Yavrum).

5) ქვეტიპი:

ჩემ გონში ცარ მოდის ისი, უერ გეუგნეფ!.. (ამბ.-დამ.) „ვერ ვხვდები მაგას, ვერ ვგებულობ!..“ (ჩემ გონში ცარ მოდის < თურქ. Aklıma gelmiyor).

ინათ ნუ იქ, ჭოუ!.. (ქუჩ.-კიშ.) „ნუ ჯიუტობ, ბიჭო!..“ (ინათ ნუ იქ < თურქ. İnat etme)

3. მუჰაჯირ ქართველთა ქართული მეტყველება.

ჩვენი მასალების დიდი ნაწილის მიხედვით მუჰაჯირ აჭარელთა შთამომავლების ამჟამინდელი ქართული მეტყველება შემოიფარგლება აჭარული დიალექტით. სპეციალისტებს აჭარულის კილოკაური დაყოფის შესახებ სხვადასხვა შეხედულება აქვთ. მაგალითად, ჯემალ ნოლაიდელმა გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოყო საკუთრივ აჭარული და ქობულური კილოკავები: „აჭარელთა მეტყველებაში ჩვენ კილოს ორი შტო უნდა დავინახოთ, სახელდობრ: ა). აჭარული, რომელიც მოიცავს ორ რაიონს: ხულასა და ქედის, ბათომის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ჩათვლით, რომელსაც, კერძოდ, ახალციხური მეტყველების და, საერთოდ, სამხრეთი საქართველოს (შავშეთი, კლარჯეთი და სხვ.) გავლენის ბეჭედი აზის და ბ). ქობულური, რომელიც ქობულეთის რაიონის და ბათომის რაიონის ნაწილს შეიცავს, რომელსაც გურული დიალექტის დიდ გავლენას ვამჩნევთ“ (ნოლაიდელი, 1936:3). ჯ. ნოლაიდელმა შემდგომ რამდენადმე შეიცვალა აზრი და გამოჰყო მთისა და ბარის აჭარული კილოკავები (ქობულეთური თქმა ბარის აჭარულში მოაქცია, იხ.: ნოლაიდელი, 1972: 209).

შოთა ნიჟარაძის აზრით, ზემოაჭარული კილოკავი მოიცავს ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებს; ქვემოაჭარული — ხელვაჩაურს, ქობულეთური კი აჭარული კილოს ცალკე კილოკავია (ნიჟარაძე, 1961:10; ნიჟარაძე, 1975:15-22).



ივანე გიგინეიშვილის, ვარლამ თოფურიას და ივანე გიგინეიშვილის „ქართულ დიალექტოლოგიაში“ ორი თვალსაზრისი განიხილება: ერთი თვალსაზრისით, ზემოაქარული მოიცავს ხულოსა და შუახევის, ქვემოაქარული - ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მეტყველებას. მეორე თვალსაზრისით კი ზემოაქარული აერთიანებს ხულოს, შუახევის, ქედისა და ნაწილობრივ ხელვაჩაურის მეტყველებას, ქვემოაქარული - ნაწილობრივ ხელვაჩაურის და მთლიანად ქობულეთის მეტყველებას (დიალექტოლოგია, 1961:43-44).

ქობულეთურს აქარულის კილოკავად განიხილავს შოთა ძიძიგურიც - მისი ავტორობით, 1974 წელს გამოცემულ ნაშრომში „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“ ქობულეთური ტექსტები აქარული დიალექტის განყოფილებაშია დაბეჭდილი. შ. ძიძიგური წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „1929 წელს ჩავიწერეთ აქარული (უფრო ზედმიწევნით - ქობულეთური კილოკავის) ტექსტები“ (ხაზგასმა ავტორისაა. იხ.: ძიძიგური, 1974:5).

ბესარიონ ჯორბენაძის აზრით, აქარულში გამოიყოფა როგორც ზემოაქარული და ქვემოაქარული კილოკავები, ისე თქმებიც: ხულოური, შუახევეური და ქობულეთური (ჯორბენაძე, 1989:540).

მამია ფაღავას შეხედულებით კი, „აქარულში შეიძლება გამოიყოს კილოკავები: ა). ზემოაქარული (ქედის, შუახევისა და ხულოს მეტყველება); ბ). ბათუმური (ბათუმის მიმდებარე სოფლების მეტყველება, შეიძლება ვუწოდოთ ქვემოაქარულიც); გ). ქობულეთური (ქობულეთისა და ჩაქვის მეტყველება)“ (ფაღავა, 2013:138). მოგვიანებით, მანვე ნანა ცეცხლაძესთან ერთად გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნა, რომ „აქარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი კიდევ ერთხელ გახდება მსჯელობის საგანი, მაგრამ ეს მომავლის საქმეა“ (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:39).

ჩვენი აზრით, აქარულ კილოში უნდა გამოიყოს ოთხი კილოკავი: ზემო აქარული, მაჭახლური, კირნათ-მარადიდული და ქვემო აქარული (ჩაქვურ-ქობულეთური)⁷. საკუთრივ ზემოაქარული კილოკავი კი სამ თქმად წარმოდგება:

⁷ ქობულეთური მეტყველება გარდამავალი სამეტყველო კოდია აქარულ და გურულ დიალექტებს შორის.



- ქედური თქმა;
- შუახევურ-ხიხანური თქმა;
- ხულოური თქმა.

140 წლის განმავლობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გირესუნელი ქართველების ორი ლოკალური თვითაღქმა ჩამოყალიბდა: „აჭარული“ და „ზეგნური“; შესაბამისად, თანაცხოვრების პროცესში შუახევის, ხიხადირისა და ხულოს მკვირთა შთამომავლებს დიალექტური „იდენტობაც“ ერთი აქვთ; „ზეგნელთა“ მეტყველებაში დომინანტური გახდა ზემო აჭარული კილოკავის ხულოური თქმა. შესაბამისად, გირესუნელ ქართველთა ქართული მეტყველება ორ თქმად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ქედულების შთამომავალთა აჭარული: ამბარალანი-დამუდერეს მეტყველება;
- შუახევულებისა და ხულოელების შთამომავალთა აჭარული: ქუჩუქდერე-კიშლა ქოძის მეტყველება.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ თქმებს (იდიომებს) შორის, უმნიშვნელო ფონეტიკურ-ლექსიკური ხასიათის სხვაობაა.

ამბარალანი-დამუდერეს თქმისათვის ფონეტიკაში მეტად დამახასიათებელია ზუსტად იმგვარი ტიპის არავიბრანტი რ, როგორიც ცნობილია ლაზური კილოებიდან და ქედური თქმიდან (სურმავა, 2008:185-186). მუჰაჯირთა შთამომავლების მტკიცებით, სწორედ ეს თანხმობანია ამა თუ იმ პირის „აჭარლობის“ განმსაზღვრელი ნიშანი, რადგან ვიბრანტ რ-ს „ზეგნელები“ სრულყოფილად წარმოთქვამენ. უნდა ითქვას ისიც, რომ ქედელ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქულად მეტყველების დროსაც კი, ვიბრანტ რ-ს სისტემურად არავიბრანტით ცვლიან (ლაზების მსგავსად).

არავიბრანტი რ, როგორც წესი, ძალიან სუსტი ბგერაა: ის შეიძლება უკვალოდაც გაქრეს ისე, რომ ჩაკითხვის დროს, მთქმელმა ვეღარც კი აღადგინოს - მაგალითად, დამუდერელი შაბან თანის (ჰელიმოლლი-ბარამიდის) თქმით, აჭარული ფორმაა „მაილი“, ხოლო „მარილი“ კი ზეგნურია. სუსტი რ სონორი ზოგჯერ წარმოთქმაში არსებობს, მაგრამ აკუსტიკურად ძნელი აღსაქმელია; ტრანსკრიბირებისას, მას კვადრატულ ფრჩხილებში ვსვამთ: მა[რ]ილი, მაგა[რ]ი, ხაშა[რ]ი „მარგილი“... და ა.შ. არაიშვიათად, არავიბრანტი რ-ს



დაკარგვის ხარჯზე, მის წინ მდგარი ხმოვანი გრძელდება: ბნსამი < // ბარსამი < *ბარე სამი „რამდენიმე“, ომო < // ორმო და ა.შ.

საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ გედ[რ]ბინა „გაირბინა“, გედა[რ]ს „გაიარა“ ფორმები აჭარულის ყველა კილოკავსა თუ თქმას ახასიათებს.

ქუჩუქდერე-კიშლა ქმოდს თქმისათვის დამახასიათებელია ფშვინვიერი შემართვა ლაზურ კილოთა ჯგუფის ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული კილოების დარად: ჰედსე „აი ისე“, ჰედმფრათ „აი, იმგვარად“... (შდრ. ამბარალანი-დამუდერეს კილოკავში: ისე, იმფ[რ]ათ და ა.შ.). ასევე: არაბულ-თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში - ცაინის ადგილას, აშკარად შესამჩნევია მაგარი შემართვა: ემდაჲ „ბიძა“, ცადილაჲ „მამაკაცის საკ. სახელი“; ამბარალანსა და დამუდერეში ამ სიტყვებს მაგარი შემართვის გამოკვეთის გარეშე წარმოთქვამენ: ემდაჲ, ადდილაჲ...

ძალიან საგულისხმო ფონეტიკური თავისებურება, რაც ორივე თქმაში დასტურდება, არის **თურქული ენის გავლენით** მეორეული პალატალიზებული ხმოვნების პოზიციურად გამოვლენა: ზღჷ ქენერზე ადგილი მუცემიან (ამბ.-დამ.) „ზღვის პირას ადგილი მიუციათ“; ჩონჷ ჰელიმოღლი ხარ? (ამბ.-დამ.) „ჩვენი ჰელიმოღლი ხარ?“; ჩემი ნენეჩემს ააშე ქჷოდა (ქუჩ.-კიშ.) „დედაჩემს აიშე ერქვა“; თქონჷ ცარ ჴიცი, რას ეტყჷთ (ქუჩ.-კიშ.) „არ ვიცი, თქვენ რას ეძახით“ და ა.შ. ეგევე ფორმები, სადაც მეორეული პალატალიზებული ხმოვნები გვხვდება, მეტწილად, შეიძლება ასეც წარმოთქვან: ზღჷ ქენერზე, ჩჷენ, ქჷიოდა, თქჷენ... პალატალიზებული ხმოვნები ზემო აჭარულისათვის დამახასიათებელი არაა - ამგვარ ხმოვანთა „ეტალონები“ მუჰაჯირთა პერცეფციულ ბაზისში ჩამოყალიბდა ბოლო 140 წლის განმავლობაში.

რაც შეეხება მორფოლოგიურ სხვაობებს:

ამბარალანი-დამუდერეს თქმაში, ყველა ზმნას ნამყო დროთა მე-3 პირის მრ. რიცხვის დაბოლოებად მოუდის -ეს: წეჷდეს, მოჷდეს, ქონდეს, იცოდეს... ხოლო ქუჩუქდერე-კიშლა ქმოდს თქმაში - -ენ: წეჷდენ, მოჷდენ, ქონდენ, იცოდენ... ასევე: ამბარალანი-დამუდერეს თქმაში, კავშირებითის ფორმებში, მე-3 პირის მხ. რიცხვის დაბოლოებად გვაქვს -ოს: წეჷდოს, მოჷდოს, მისცოს, იცოდოს და ა.შ.



ამასთან, ორივე თქმას ახასიათებს **თურმეობითის სემანტიკის** განსხვავებული გამოხატვა, თურქულიდან შემოსული -იმიშ სუფიქსით: ამათაფში კოლო ბეჭური არიმიშ, უერ დატდგებით-დედი (ამბ.-დამ.) „ამ ადგილებში კოლო ბევრია თურმე, ვერ გავჩერდებითო“; შენ კაჲ კაცი ხარიმიშ-დედი, ჩემი გოგო მოქცე-ნაო, უთხრა (ქუჩ.-კიშ.) „შენ კარგი კაცი ხარ თურმე, ჩემი გოგო უნდა მოგათხოვო, უთხრა“... ამ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები სემანტიკურად ახლოს დგას ლაზურ (ხოფურ) ქორტერენ, იდერენ, ანდა ზემოიმერულ ნამუშევარა, ნაქონება ტიპის ფორმებთან: გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც უკვე მოხდა (და თქმის მომენტშიაც გრძელდება), ოღონდაც მთქმელმა ამის შესახებ გადმოცემით იცის.

ორივე თქმისათვის დამახასიათებელია ასევე, ქართული სხვათა სიტყვის ნაწილაკების შეცვლა შესაბამისი თურქული ნასესხობებით: ოცი წლისი გატხთი-დედიმ (ამბ.-დამ.) „ოცი წლის გავხდი-მეთქი“, რა ფუნა წეჲკიდე-დედი, რას უერ გნებულოფ? (ქუჩ.-კიშ.) „რა გააჭირე საქმეო, რას ვერ გეზულობ[ო]?“ და ა.შ. შდრ. თურქ. Yirmi yaşıdayım, dedim და Sana ne oldu dedi, niye anlamıyorsun? დედიმ და დედი წარმოშობით თურქული Demek „თქმა“ ზმნის ნამყო სრული დროის პირველი და მესამე პირის ფორმებია.

სინტაქსური თავისებურებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ორივე კილოვავში ხშირად ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს ნომინატიური კონსტრუქციის ზმნასთანაც: ბაბამ მომიკდა მე (ამბ.-დამ.) „მამა მომიკვდა მე“, ღორმა ჭოზდახუთი წელიწადია, აქით მოუტდა (ქუჩ.-კიშ.) „25 წელია, რაც ტახი აქეთ გამოჩნდა“ და მისთ.

ამ მაგალითებში მოყვანილი ზმნები: მომიკვდა „მოკვდა ჩემი ვინმე/რამე“ და მოვიდა „ის მოვიდა“ ქართულ სამწიგნობრო ენაში მხოლოდ ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნიან. სამწიგნობრო ქართულში, ზოგი სხვა ენის (მაგ., ჰინდი-ურდუ, მაორი და ა.შ.) გვაქვს ე.წ. „მსხვრეული ერგატიულობა“ (ინგლ. Split Ergativity) ანუ არასრული ერგატიულობა - ერგატიული კონსტრუქცია დამახასიათებელია მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნურ ფორმათა ნამყო დროებში: „მან გააკეთა ის“, „მან მისცეს მას ის“ - აქ აქტიურია სუბიექტი - ის ითხოვს სპეციალურ, მოთხრობით ბრუნვას [ergative case], ობიექტი კი სახელობით ბრუნვაშია და არა აკუზატივში (აკუზატივი ქართულში საერთოდ არც გვაქვს). ქართულ



დიალექტებში ამ მხრივ სხვაგვარი სიტუაციაა - შეიძლება, ერგატიულ კონსტრუქციას ჰქმნიდეს ისეთი ზმნაც, რომელიც ნომინატიურია. სხვა რამ არსებითი სხვაობა არ დასტურდება.

ლექსიკური თავისებურებები:

ორივე თქმაში კარგადაა დაცული ძირეული ლექსიკური ფონდი, თუმცაღა ცხადია, თავს დიდი რაოდენობით იჩენს თურქულიდან (და მისი მეშვეობით - აღმოსავლური ენებიდან) ნასესხები სიტყვებიც. აღვნიშნავთ, რომ თითქმის ყველა ის თურქულ-არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეული, რომელიც აჭარულ დიალექტს XX საუკუნის I ნახევრამდე ახასიათებდა და მერე შესაბამისი ქართული ეკვივალენტით შეიცვალა (იხ. ნიჟარაძე, 1971:59-65), მუჰაჯირი ქართველების გირესუნელ შთამომავალთა მეტყველებაში დღესაც ცოცხალია. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: ლულე „ჩიბუხი“, ბარდალი „ჭიქა“, ანჯახ „ძლივსღა“, რომლებსაც, შოთა ნიჟარაძის სიტყვით, დღევანდელ აჭარულში შეესაბამება ძირეული ქართული ფორმები: კიპაჲ, ჭიქაჲ, ძვილაჲ. გირესუნელი ქართველებისთვის ეს უკანასკნელნიც ცნობილია, თუმცა უპირატესობას ნასესხებ სიტყვებს ანიჭებენ.

იმ ლექსიკური ერთეულებიდან, რომლებსაც გირესუნელ ქართველთა შორის ადრინდელი მნიშვნელობა შეცვლიათ, დავასახელებთ ფორმას მოწირიხებაჲ „მოხვევა“: აგზე პაწაჲ მუწირიხო-ნდა (ამბ.-დამ.) „აქ ცოტათი უნდა მოუხვიო“. ამავე ძირიდან ნაწარმოები ფორმა, მოწირეხვა სახით, შ. ნიჟარაძეს მოჰყავს ორი მნიშვნელობით: „1. წირებად (ღვლერჭად) დაგრეხა წნელისა... 2. გადმოგრეხა, მოღრეცა, მოქცევა“ (ნიჟარაძე, 1971:272); ასევე: ყართოფილაჲ გირესუნელ ქართველთა აღქმით, მხოლოდ „კარტოფილის ნაყოფს“ ნიშნავს, შემწვარ კარტოფილს კი პურაჲ ჰქვია.

ყურადღებას იქცევს ფრაზეოლოგიზმებიც, მაგ.: დასახჩოლებელი ნუ გაუხთებით! ნიშნავს: „ისე ნუ იზამ, რამე საფრთხე რომ დაგვემუქროს!“ - აქ დახჩოლება გულისხმობს საკმევლის კმევას, თუმცაღა მუჰაჯირი ქართველების გირესუნელმა შთამომავლებმა ეს აღარ იციან. ასევე: ფუნაჲს მოკიდება ნიშნავს „საქმის გაჭირებას“: რა ფუნა მედკიდე, ჭოუ?!.. პაწაჲ დადექი, დნ! (ქურ.-კიშ.) „რა გააჭირე, საქმე, ბიჭო?!.. ცოტა მოიცადე, რა!“



ამრიგად, თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის ილის გირესუნისა და ბულანჯაქის ილჩეებში დღემდე შემორჩენილია მუჰაჯირ ქართველთა ქართული მეტყველება - ქართული ენის აჭარული დიალექტი. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული (როცა თურქეთში თურქულენოვანი საშუალო განათლება ყველასთვის სავალდებულო გახდა), აჭარული მეტყველება უწყვეტად განიცდის სამწიგნობრო თურქული ენის წამლევავ ზემოქმედებას, ასევე, ბოლო პერიოდში, სალიტერატურო ქართული ენის გავლენას და ნელ-ნელა იკარგება.

ქართველ მუჰაჯირთა გირესუნელი შთამომავლების ძირითადი ნაწილის ეთნიკური თვითაღქმა დღემდე ქართულია. 140 წლის განმავლობაში მიმდინარე **სამეტყველო კოდების შერევის გამო** ისტორიული დედაენა დაცული აქვს მხოლოდ უფროს თაობას; ამ თაობის უმეტესობამ სუსტად იცის თურქული ენა. საშუალო თაობაში ფართოდაა გავრცელებული ქართულ-თურქული ბილინგვური მიმართება. უმცროსი თაობა კი თითქმის მთლიანად გადასულია თურქულ ენაზე, რომელიც მათთვის უფრო პრესტიჟულია, ვიდრე წინაპრების დედაენა; შესაბამისად, **გირესუნში ქართული ენის აჭარულ დიალექტს ახლო მომავალში სრული გაქრობის საფრთხე ემუქრება.** საფრთხეს ზრდის ისიც, რომ ახალი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წინაპრების ენის შესწავლითა და საქართველოსთან ურთიერთობით, სწავლობენ ქართულ სალიტერატურო ენას: სამწიგნობრო ქართული ენის შესწავლის შემდეგ, ისინი პრინციპულად ცდილობენ, „სწორად“ იმეტყველონ და თავს არიდებენ დიალექტიზმებს.

ქართველ მუჰაჯირთა გირესუნელი შთამომავლების აჭარული მეტყველება, ჯერ ოსმალურ-თურქული, მერე - თანამედროვე სამწიგნობრო თურქულ ენის გავლენის მიუხედავად, უცვლელად ინარჩუნებს საერთო-ქართულ სისტემურ-სტრუქტურულ მახასიათებლებს.



დამოწმებული ლიტერატურა:

- ასანი, 2016: Hakan Asan, Devlet aşiret ve eşkıya bağlamında osmanlı muhacir iskân siyaseti (1860-1914) / Göç araştırmaları dergisi, 3-2, s. 34-61; Ankara, 2016;
- დიალექტოლოგია, 1961: ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1961;
- ნიჟარაძე, 1961: შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961;
- ნიჟარაძე, 1971: შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკონი; თბილისი, 1971;
- ნიჟარაძე, 1975: შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975;
- ნოღაიდელი, 1936: ჯემალ ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936;
- ნოღაიდელი, 1972: ჯემალ ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ნარკვევები და ჩანაწერები II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972;
- სიმონიანი, 2007: Hovann H. Simonian, The Hemshin: History, society and identity in the Highlands of Northeast Turkey, New York, 2007;
- სურმავა, 2008: ნარგიზა სურმავა, რ ბგერის რეფლექსი ქვემოაჭარულსა და ლაზურში, იკე, XXXVI, გვ.185-191; თბილისი, 2008;
- ფაღავა, 2013: მამია ფაღავა, ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VII, ბათუმი, 2013;
- ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: მამია ფაღავა, ნანა ცეცხლაძე, სამხრული კილოები - ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, თბილისი, 2017;
- ფუტკარაძე, 2009: ტარიელ ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008, კრებული: "სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში", აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2009. გვ. 111-136. გამომცემლობა "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", საერთაშორისო



კონფერენციის ორგანიზატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო, ბათუმი, 11-12 ივნისი. Impact of Geopolitical Interests in Transcaucasia: Batumi 1878, 1920, 1991, 2008, Collection: "The South-West Georgia in the Context of Geopolitical Interests of Neighbouring States". International Scientific Conference on the occasion of the 130 years since return to the motherland, Batumi, 2009, pg. 111-136. Printing House" Shota Rustaveli State University", International conference organizer: Government of Autonomous Republic of Abkhaz Archive, Batumi, June 11-12. <http://www.scribd.com/doc/3809567/batumi-geostrategia>

ფუტყარაძე, 2017: ტარიელ ფუტყარაძე, თანამედროვე ბათუმი: ინტერესთა კონფლიქტი და პერსპექტივა, "ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VIII, ბათუმი, 2017, გვ. 350-366. ჟურნალი „ჭოროხი“, №5, 2017, გვ. 100-119; Modern Batumi: Conflict of Interests and Prospects, Batumi: past and modernity, VIII international scientific conference materials, Batumi, 2017, pg. 350-366. Printing House "Batumi State University". ISSN 1987-8745. Journal "Chorokhi", №5, pg. 100-119. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/295640/1/Chorokhi_2017_N5.pdf

ფუტყარაძე, 2018: ტარიელ ფუტყარაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და „ბათუმის ოლქის“ ავტონომიის საკითხი (ტერმინოლოგიური ასპექტი), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავს, თბ., 15-18 მაისი, 2018. Constitution of Democratic Republic of Georgia and an Issue of Autonomy of "Batumi Borough" (terminological aspects), joint scientific conference of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Gori State Teaching University and Sokhumi State University, dedicated to the 100 years of formation of the first republic of Georgia, Tb., May 15-18, 2018

იბიგური, 1974: შოთა იბიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974;

ჯორბენაძე, 1989: ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1989;